

# გენდერული საკითხები და ადრეული გაფრთხილების სისტემები: შესავალი

## ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისი<sup>1</sup>

### 1. შესავალი

მნიშვნელოვანია, რომ როგორც მამაკაცები, ასევე ქალები ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობდნენ, სადაც თავს უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნობენ და სადაც ამ საზოგადოების შექმნაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობები ექნებათ. და მაინც, კონფლიქტის, მათ შორის ადრეული გაფრთხილების ანალიზი, როგორც წესი, ქალთა უფლებებსა და გენდერულ პერსპექტივებს არ შეიცავს. ადრეული გაფრთხილების სისტემების (აგს) შემუშავებისა და განხორციელებისას ნაკლები ყურადღება ექცევა ხოლმე სტრუქტურულ თუ კონკრეტული კონფლიქტიდან გამომდინარე განსხვავებებს ქალებისა და მამაკაცების სიტუაციებს შორის, საფრთხისა და დაუცველობის აღქმას, ან გამოცდილებას. როცა ქალებზე აგს-ში არაფერია ნათქვამი, მათი შანსი – სრულად მიიღონ მონაწილეობა კონფლიქტის პრევენციასა და პოსტ-კონფლიქტურ აღდგენაში – შეზღუდულია; შესაბამისად არსებობს საფრთხე, რომ აგს კონფლიქტს ადექვატურად ვერ განსაზღვრავს და ვერ შეაჩერებს.

სქესთა თანასწორობა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წევრი ქვეყნების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ეს ვალდებულებები არა მხოლოდ ბევრჯერ დადასტურდა, არამედ იმ ვალდებულებებით შეივსო, რომლებიც გენდერსა და უსაფრთხოებას ეხება. ეს ვალდებულებები აისახა: მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნომერი 14/05 „ქალები კონფლიქტის პრევენციაში, კრიზისის მართვასა და პოსტ-კონფლიქტურ რეაბილიტაციაში“<sup>2</sup> და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნომერი 15/05 „ქალებზე ძალადობის პრევენციისა და დაძლევის შესახებ“<sup>3</sup>. მინისტრთა საბჭოს ეს დადგენილებები საფუძველს ქმნიან იმისათვის, რომ გენდერული პერსპექტივა აგს-ში იქნას გათვალისწინებული.

გენდერული საკითხი ახლაც ხშირად უგულებელყოფილი კონფლიქტის პრევენციისკენ მიმართულ ღონისძიებებში, რასაც შედეგად ის მოჰყვება, რომ ეს ღონისძიებები სტერეოტიპებს კიდევ უფრო ამყარებს ან ქალთა უფლებების დარღვევით გამოწვეულ დაუცველობას ზრდის. ეს ხშირად ხანგრძლივი დისკრიმინაციული პრაქტიკის შედეგია. ბევრი ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც კონფლიქტის პრევენციითაა დაკავებული, ხშირად მამაკაცებსა და ქალებს თანაბრად არ უწევს ანგარიშს. შედეგად ქალები არ იღებენ მონაწილეობას ისეთი ღონისძიებების შესახებ ინფორმირებაში, დაგეგმვასა და სარგებელის მიღებაში, როგორცაა აგს.

ადამიანთა უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გარდა, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების შეფასებისას ფაქტორთა უფრო ფართო

სპექტრის, მათ შორის სტრუქტურული ფაქტორების გამოყენება კონფლიქტის მიზეზთა უფრო სრულყოფილ გაგებას შეუწყობს ხელს, შედეგად კი მისი პრევენციის ან განეიტრალების უფრო მოქნილი მექანიზმების შემუშავება გახდება შესაძლებელი.

სანამ იმ ინციდენტებს განვიხილავდეთ, რომლებსაც შეიარაღებული კონფლიქტის უშუალოდ დაწყებამდე აქვს ადგილი, გასათვალისწინებელია უფრო ხანგრძლივი ფაქტორები, როგორცაა სოციალური გათიშულობა.<sup>4</sup> სოციალური გათიშულობა ისეთი პირობებით ხასიათდება, როგორცაა ეკონომიკური უთანასწორობა და რესურსებზე არათანაბარი წვდომა და შეიძლება ძალადობის ერთ-ერთი სტრუქტურული საფუძველი გახდეს. თუ იმ ხანგრძლივ ტენდენციებს გავითვალისწინებთ, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძალადობის აქტების უშუალო დასაწყისსა და ესკალაციამდე, ამით ადრეულ გაფრთხილებას გავაუმჯობესებთ და უფრო მძლავრ რეაგირებას შევიმუშავებთ.

სტრუქტურული დისკრიმინაციის ამ ფაქტორების სააშკარაოზე გამოტანითა და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებით ადრეული გაფრთხილების სისტემების გაუმჯობესება შეიძლება, რადგან უფრო კონკრეტული ინფორმაციის მოპოვებისა და უფრო დეტალური და ზუსტი ანალიზის საშუალება იქნება. ეს, თავის მხრივ, უკეთ მომზადებას და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ზუსტსა და გაზომვად რეაგირებას, ასევე პრევენციული მექანიზმების არსებობას უზრუნველყოფს, რაც უფრო პირდაპირი გზით მოაგვარებს კონფლიქტის რამდენიმე გამომწვევ მიზეზს.

აგს-ში გენდერული საკითხების ინტეგრირებისთვის აუცილებელია, რომ როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს ჰქონდეთ თავიანთ უსაფრთხოების სიტუაციაზე ხმამაღლა საუბრის შესაძლებლობა. ასევე, გასათვალისწინებელი და გასაანალიზებელია ის საფრთხეები და პრობლემები, რომლებიც კონფლიქტის შედეგად მამაკაცებსა და ქალებზე ზემოქმედებას ახდენს. მიზეზების დადგენა საჭიროა ასევე იმისათვის, რომ გაირკვეს უთანასწორობის გაძლიერებაში მათი როლი. საზოგადოებაში უკვე არსებული უთანასწორობა ხშირად კონფლიქტის დროს კიდევ უფრო მწვავედება. რეაგირების ფორმულირების მიზნით ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზისას ესეც გასათვალისწინებელია.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისის (ODIHR) მანდატის თანახმად, წევრი ქვეყნებისათვის მხარდაჭერის მიზნით, ODIHR წერილების სერიას აქვეყნებს, რომელთა საშუალებითაც ამ საქმით დაკავებულ პირებს უწევს კონსულტაციას აგს-ში გენდერული საკითხების ჩართვასთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებებზე, გენდერულ საკითხებსა და უსაფრთხოებაზე მომუშავე ეროვნული სუბიექტებისადმი მიმართულ სამ წერილში, რომელთაგან მოცემული დოკუმენტი პირველია, შემდეგი საკითხები განიხილება: 1. გენდერული საკითხებისა და აგს-ის შესავალი, 2. აგს-ის გენდერული ინდიკატორები და ანალიზი, და 3. აგს-ში ჩართული მხარეები, სადაც აქცენტი გაკეთდება მონაცემთა შეკრებასა და რეაგირებაზე. პირველი

დოკუმენტი შესაბამისი ტერმინოლოგიისა და ცნებების მიმოხილვას ეძღვნება და აგს-ის შესახებ შესავალ ინფორმაციას შეიცავს. ის აჩვენებს, რომ რადგან მამაკაცები და ქალები საფრთხესა და ძალადობას სხვადასხვაგვარად გამოცდიან და აღიქვამენ, გენდერული საკითხების აგს-ში ჩართვა მისი ეფექტურობის ამოსავალი წერტილია.

## 2. ტერმინოლოგია

### გენდერი და სქესი

სიტყვა „გენდერი“ სქესის სოციალური ინტერპრეტაციაა.<sup>5</sup> ადამიანის ბიოლოგიური სქესი მისი დაბადებისას განისაზღვრება და ანატომიურ განსხვავებებს ნიშნავს, გენდერი კი იმ განსხვავებებზე მიუთითებს, რომლებიც სოციალურად განისაზღვრება და მამაკაცებსა და ქალებს თავიანთი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში მიეწერება. „კულტურები სქესის მქონე არსებებს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და ამ არსებებისათვის სხვადასხვა ნორმებს წინასწარმეტყველებენ, რითაც მდედრობითი და მამრობითი სქესის ადამიანებს ქმნიან.“<sup>6</sup>

ხაზი უნდა გაესვას იმას, კვლავ სადავოა თუ არა საკითხი იმის შესახებ, რომ ბიოლოგიური განსხვავებები უწყობს ხელს მდედრობითობისა და მამრობითობის ჩამოყალიბებას. ის ცნება, რომ ზოგიერთი ატრიბუტი დაბადებიდან მამაკაცური ან ქალურია, უკვე სადავო ხდება. და მაინც, მამოძრავებელი უნარების შესრულებაში განსხვავებებზე მსჯელობისას მაინც ბიოლოგიურ განსხვავებებზე საუბრობენ. მაგალითად, ტვინის ფიზიკური განსხვავებები დაუკავშირეს ადამიანთა უნარს ან უუნარობას – წაიკითხონ რუკა. თუმცა, ამგვარ განსხვავებებს ფაქტობრივად ვერ პოულობენ ჩვილებში და ვიზუალურ-სივრცული უნარებიც სწავლებით ვითარდება – ანუ დროთა განმავლობაში ყალიბდება და მაშასადამე, ალბათ კულტურულ პრაქტიკასაც უკავშირდება.

მოკლედ, გენდერი ნიშნავს ისტორიულად, სოციალურად და კულტურულად ჩამოყალიბებულ განსხვავებებს სქესებს შორის. ის დაფიქსირებული არაა და დროთა განმავლობაში და სხვადასხვა კულტურებში იცვლება. ერთ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში ყველა მამაკაცი და ქალი ერთნაირი არაა.

### გენდერული იდენტობა და როლები

გენდერული როლები ისეთ ქცევით ნორმებს განსაზღვრავს, როგორცაა მოსალოდნელი და ნებადართული ქცევა მამაკაცებისა და ქალებისათვის და ის, თუ რა ფასდება ქალებსა და მამაკაცებში მოცემულ კონტექსტში, ასევე ატრიბუტებსა და მახასიათებლებს. ეს მოლოდინი მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავებებსა და უთანასწორობას უკავშირდება საქმიანობის, პასუხისმგებლობისა და რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კონტროლის, ასევე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობათა თვალსაზრისით. შრომისა

თუ ძალაუფლების დისბალანსზე ზეგავლენას მამაკაცებსა და ქალებს შორის გენდერული როლები და მოლოდინი, და არა ბიოლოგიური სქესი ახდენს. კონკრეტული გენდერული მოლოდინები ხშირად უშლის ხელს მამაკაცებსა და ქალებს შორის სტატუსისა და უფლებების თანასწორობას.

### **წინააღმდეგობაში მყოფი გენდერული იდენტობა და როლები**

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, რომ გენდერი სტატიკური არაა და დროთა განმავლობაში იცვლება, ის ასევე სხვადასხვაა მშვიდობის და კონფლიქტის დროს. კონფლიქტის დროს როგორც მამაკაცები, ასევე ქალები ერთგანზომილებიან არსებებად აღიქმება, თითქოს მათ შორის განსხვავებები არ არსებობდეს. ეს სტერეოტიპული შეხედულებები ტრადიციულია, მამაკაცებს წარმოადგენს როგორც აგრესორებს, მებრძოლებსა და დამცველებს, ქალებს კი – როგორც დაუცველებს ან მსხვერპლებს, რომლებიც უნდა დაიცვან. მსგავსად ამისა, ზედმეტად გამარტივებული განსაზღვრება მამაკაცისა არის მებრძოლი, ქალისა კი – მშვიდობისმყოფელი ან მშვიდობაზე ორიენტირებული; ამგვარი განსაზღვრებები ხშირად ისმის სხვადასხვა დონეზე მამაკაცებისა და ქალების კონტექსტში. ეს შეხედულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მამაკაცებსა და ქალებს შორის უთანასწორო ძალაუფლებით ურთიერთობას, რაც ხშირად გენდერულ როლებში ფაქტობრივ ცვლილებებს არ შეესაბამება, რომლებიც კონფლიქტში შემსვლელ ან მყოფ საზოგადოებაში ხდება.

ქალები არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლნი არიან; მათ სხვადასხვა როლი აკისრიათ, მაგალითად როგორცაა გადარჩენილი, მზრუნველი, განმანათლებელი, ლიდერი, ეკონომიკური მომმარაგებელი და მშვიდობისმყოფელი. შეიარაღებული კონფლიქტის დროს, სულერთია ეს არჩეულია, აუცილებელი თუ თავსმოხვეული, ქალები არატრადიციულ როლებს ითვისებენ. ეს განსაკუთრებით ეკონომიკურ სექტორში ხდება, სადაც ქალები თავიანთი ოჯახების ერთადერთი მომვლელნი ხდებიან ან სოციალურ მომსახურებას უწევენ (მაგ. ჯანდაცვა და განათლება) იმ საზოგადოებას, რომელსაც ფორმალური სექტორი ვეღარ ემსახურება. მათ ასევე შეუძლიათ ჩაებან ძალადობის მხარდაჭერასა და გამყარებაში. გაეროს ქალთა განვითარების ფონდის (UNIFEM) ფერგანას ველზე, ცენტრალურ აზიაში გამართული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულებმა კონფლიქტში ქალების როლი განსაზღვრეს როგორც დამკვირვებლისა, შემდეგ ორგანიზატორის/პირდაპირი მონაწილის, შუამავლის, მსხვერპლისა და ადამიანური ფარის<sup>7</sup>.

ზოგიერთი ქალი მძვინვარე კონფლიქტში ჩაება, მამაკაცთაგან კი ყველა როდია აგრესორი კონფლიქტში. ისინი ხშირად დგანან იმ რისკის წინაშე, რომ შეიარაღებულ ჯგუფებში გაიწვევენ საბრძოლველად. მამაკაცებსა და ბიჭებს, რომლებიც ზოგიერთი საზოგადოების „მაჩო“ ლიდერობის ვიწრო მოდელების ზეგავლენის ქვეშ არიან, (მაგ. სამხედრო ლიდერები) ან სოციალური მობილურობის მცირე პერსპექტივები აქვთ (ან უმუშევრობის და ან სამხედრო სტრუქტურებში სამსახურის მოლოდინის გამო) არ ეძლევათ საშუალება ისეთი

ცხოვრება ჰქონდეთ, როგორსაც ირჩევენ.<sup>8</sup> მამაკაცები, რომელთაც არ სურთ კონფლიქტში მონაწილეობა, შეიძლება გამოარჩიონ და შეურაცხყოფა მიაყენონ, დააპატიმრონ ან მოკლან კიდევ. ამგვარი მოპყრობა როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისათვის არაუპირატესობითია.

კონფლიქტის დროს არსებული უთანასწორობისა და სხვადასხვა როლების შედეგად შეიძლება ისე მოხდეს, რომ მამაკაცებმა და ქალებმა საფრთხე და დაუცველობა სხვადასხვაგვარად აღიქვან. აუცილებელი არაა, ერთი და იმავე ნიშნებმა და მოვლენებმა მამაკაცებსა და ქალებში იგივე რეაქცია გამოიწვიონ. UNIFEM-ის აგს პროგრამამ სოლომონის კუნძულებზე ნათლად გამოავლინა რამდენიმე შეუსაბამობა. მამაკაცებმა ინტერეთნიკური ურთიერთობები დაძაბულობის მნიშვნელოვან წყაროდ დაასახელეს, ქალებმა კი მხოლოდ საშუალო წყაროდ. ამით შეიძლება დადასტურდეს ის ვარაუდი, რომ ქალებს უკეთ შეუძლიათ ინტერეთნიკური კავშირების შენარჩუნება, დაძაბულ პერიოდშიც კი, მაშინ, როცა მამაკაცები ჯგუფის შიდა იდენტობას კიდევ უფრო განიმტკიცებდნენ.<sup>9</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი შედარებებისას, თვით შედარების აქტი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ამოვიცნოთ ქალებსა და მამაკაცებს შორის კავშირები. როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ქალი ერთნაირი არაა. მათ არ აქვთ ერთნაირი აღზრდა, ერთნაირი კულტურა და გამოცდილება. მათზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მათი სოციალური პოზიცია (კლასი), ეთნიკური იდენტობა, რელიგია, ასაკი თუ განათლება; აქედან გამომდინარე, მათ აქვთ სხვადასხვა მოთხოვნები, ინტერესები და პრიორიტეტები. ადრეული გაფრთხილება უფრო ეფექტურია, როცა შესაძლებელია მხედველობაში იქნას მიღებული ჯგუფის შიგნით არსებული ფენები. ეს საშუალებას მოგვცემს ეთნოსს, კლასს, გენდერსა და სხვა ხაზებს შორის არსებული სინერგიები განვსაზღვროთ.

## **გენდერული ანალიზი**

გენდერული ანალიზი გენდერის განსაზღვრებას ეფუძნება და კულტურასა და საზოგადოებაზეა დამოკიდებული. აქედან მიღებული განსხვავებები შრომის გენდერულ დაყოფამდე და გენდერით განსაზღვრულ იდენტობამდე მიდის, რაც შესწავლას და გაგებას საჭიროებს. ამგვარი ანალიზის გარეშე კონფლიქტის დროს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ მნიშვნელოვანი ცოდნა არ მიიღება, შესაბამისად, პროგრამებიც გამოცდილებას ვეღარ დაეფუძნება. პირიქით, შეიძლება მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობების შესახებ ვარაუდებმა მცდარი გზით წაგვიყვანოს, ამით კი სასურველი შედეგი ვერ მიიღწევა.

გენდერული ანალიზის მთავარი მიზანი მამაკაცებსა და ქალებს შორის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის გამოვლენაა, ამ უთანასწორობათა გენდერული ფესვების გამოვლენის გზით. ამრიგად, გენდერული ანალიზის შედეგად შესაძლებელია:

- გავიგოთ მამაკაცებსა და ქალებს შორის ძალაუფლების დისბალანსისა და უთანასწორობის მიზეზები (სტრუქტურული უთანასწორობა) და
- ავხსნათ, თუ როგორ გამოცდიან მამაკაცები და ქალები საფრთხეებს, დაუცველობას და კონფლიქტს სხვადასხვაგვარად (კონფლიქტთან დაკავშირებული უთანასწორობა).

გენდერულ ანალიზს შეუძლია გვაჩვენოს, თუ როგორ ახდენს ზეგავლენას მამაკაცებისა და ქალების სხვადასხვა როლები კონფლიქტის დროს და მის შემდეგ მათ წვლილზე კონფლიქტის პრევენციასა და პოსტ-კონფლიქტურ აღდგენაში. გენდერის ექსპერტმა ანალიზზე მოხერხდა ეს საკითხი დეტალურად შეისწავლა და დაასკვნა, რომ ქალების ახლადათვისებულ როლებს კონფლიქტის დროს შეიძლება ზეგავლენა ჰქონდეთ მათ კონფლიქტის შემდგომ ცხოვრებაზე.

... როგორც მამაკაცებმა, ასევე ქალებმა გამოსცადეს ეკონომიკური გაჭირვება კონფლიქტის დროს, მაგრამ ქალებისთვის ეს ნიშნავდა ახალი პროდუქტიული როლების ათვისებას, „კაცის საქმის“ შესრულებას, ოჯახის თავად და მარჩენალად გახდომას, მამაკაცებისთვის კი ეს ნიშნავდა შემოსავლის და, საბოლოოდ, ოჯახის თავისა და მარჩენალის სტატუსის დაკარგვას. ამ სხვადასხვა გამოცდილებიდან გამომდინარე, კონფლიქტის დროს მათი მშვიდობის გამოცდილებაც განსხვავდებოდა. მამაკაცებმა მშვიდობის დროს დაიბრუნეს თავიანთი სამუშაო, თავიანთი როლი საზოგადოებაში და თავდაჯერებულობა, ქალებისათვის კი ახალი გენდერული როლების ათვისების პროცესი ტრანსფორმაციული იყო და ხშირად გაზრდილი ძლიერებითა და სტატუსით სრულდებოდა.<sup>10</sup>

### **შესაბამისი საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზა**

საერთაშორისო კანონმდებლობა არა მხოლოდ ხაზს უსვამს ქალთა თანაბარ მონაწილეობას კონფლიქტზე რეაგირებაში, ავს-ის ჩათვლით, არამედ ინდიკატორებისა და ანალიზის მომზადების საფუძველს ქმნის. **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრის კონვენციაში<sup>11</sup>** აღნიშნულია, რომ „ქალების დისკრიმინაცია არღვევს უფლებათა თანასწორობის და ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპს და ქმნის ბარიერს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მამაკაცებთან თანასწორად ქალთა მონაწილეობისათვის.“ **პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა** აცხადებს, რომ „ქალთა სრული მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში, კონფლიქტის პრევენციასა და გადაწყვეტაში და ყველა სხვა სამშვიდობო ინიციატივაში აუცილებელია ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად.“<sup>12</sup>

ამ დასკვნას გამოეხმაურა **გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილება (UNSCR) 1325**, „**ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება**“, რომელშიც კიდევ ერთხელ დადასტურდა „ქალების მნიშვნელოვანი როლი კონფლიქტების პრევენციასა და გადაწყვეტაში, მშვიდობის დამყარებაში, ასევე ხაზგასმულია მათი თანაბარი

მონაწილეობის, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში სრული ჩართულობის მნიშვნელობა; ასევე ხაზგასმულია, რომ საჭიროა გაიზარდოს ქალების როლი გადაწყვეტილების მიღებაში, კონფლიქტების პრევენციისა და გადაწყვეტის კონტექსტში.<sup>13</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილება 1325 არ ითვალისწინებს ანგარიშგების მექანიზმს კონფლიქტის ზეგავლენის შესახებ ქალებსა და გოგონებზე, გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილება **1888**, „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ კი ამას ითვალისწინებს. ის 2009 წლის სექტემბერში იქნა შემუშავებული გაეროს უშიშროების საბჭოს დადგენილება 1820,<sup>14</sup>-ის პასუხად და გაეროს გენერალურ მდივანს მოუწოდებს უკეთესი ინდიკატორები შეიმუშაოს უფრო სისტემური ანგარიშგებისათვის, რათა მოხდეს ისეთი შემთხვევების დაფიქსირება და თვალყურის მიდევნება, როგორცაა ქალებზე სექსუალური ძალადობა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.<sup>15</sup> ეუთომ დაადასტურა მისი ერთგულება როგორც პეკინის პლატფორმის, ასევე გაეროს უშიშროების საბჭოს № 1325 დადგენილების მიმართ, შეიტანა რა ისინი ეუთოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში №14/05 „ქალები კონფლიქტის პრევენციაში, კრიზისის მართვასა და პოსტ-კონფლიქტურ რეაბილიტაციაში“<sup>16</sup> და ეუთოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში ნომერი 14/04, რომლითაც დამტკიცდა 2004 წლის ეუთოს გენდერული თანასწორობის სტიმულირების სამოქმედო გეგმა. გეგმის მიხედვით ქალების ჩართულობა კონფლიქტის პრევენციაში პრიორიტეტადაა მიჩნეული.<sup>17</sup> (ქალების ადამიანთა უფლებები და ის, თუ როგორაა ისინი დაკავშირებული აგს-სთან განხილულია ამ დოკუმენტის მე-4 ნაწილში)

### 3. ადრეული გაფრთხილების სისტემები

აგს-ის საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა სუბიექტებს მიეწოდოს მდიდარი ინფორმაცია და სტრატეგია კონფლიქტისადმი პროაქტიული და არა რეაქტიული მიდგომის შესახებ, კონფლიქტისათვის მზაობის შესახებ და კონფლიქტის პრევენციის ადრეული ღონისძიებების გატარების შესახებ.<sup>18</sup>



**კონფლიქტის აგს**, როგორც კონფლიქტის პროგნოზირებისა და მასზე რეაგირების მექანიზმი მის დაწყებამდე ან ესკალაციამდე კონფლიქტის ეფექტური პრევენციის წინაპირობად მიიხსენიება<sup>19</sup>

ადრეული გაფრთხილების მექანიზმები იდეალურ სიტუაციაში კონფლიქტის დაწყებამდე მუშავდება და ხორციელდება უკეთესი მზაობის უზრუნველსაყოფად, თუმცა ამ პრინციპების გამოყენება უკვე დაწყებული კონფლიქტის შესახერებლადაც შეიძლება, იმ მიზნით, რომ შემცირდეს ადამიანთა ტანჯვა და თავიდან იქნას აცილებული „გადასხმის“ ეფექტი. პოსტ-კონფლიქტურ ფაზაში აგს შეიძლება გამოყენებულ იქნას კონფლიქტის ხელახალი გაღვივების პრევენციის მიზნით.

**აგს-ის სხვადასხვა სტრატეგიები:** დროთა განმავლობაში აგს-ის ოთხი თაობა წარმოიშვა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, თუ როგორ და ვის მიერ ხდება ინფორმაციის მოპოვება და საბოლოო გამოყენება. პირველი სამი თაობა ინფორმაციის მოპოვებითა და ანალიზით იყო დაკავებული, მეოთხე თაობა კი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას, რათა ისინი უკეთ მოემზადონ და უკეთესი რეაგირება მოახდინონ მათ და მათი საზოგადოების წინაშე მდგარ საფრთხეებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს თაობები ერთმანეთისაგან მიდგომებით განსხვავდება, არ არსებობს ანალიზი, რომელიც განაცხადებდა, რომ ერთი უფრო ეფექტურია, ვიდრე სხვები. მარტივად თუ შევაჯამებთ, ისინი ასეთია:

თაობა <sup>20</sup>	დამკვირვებლები	ფოკუსი	დონე	მონაცემთა პირველადი მიმღებნი	შესაძლო რეაგირება და ღონისძიებები	მაგალითები
პირველი	არა იმ ქვეყნის მკვიდრნი, სადაც კვლევა იმართება; ხშირად ეფუძნება მედია ანგარიშებს.	მონაცემთა სისტემური მოპოვება და ანალიზი	საერთაშორისო	საერთაშორისო შტაბბინა	დიპლომატიური ღონისძიებები, „წყნარი დიპლომატია“, სანქციები, „დაასახელე და შეარცხვინე“	დიდი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები უცხოეთის მთავრობები და მათი განვითარების პროგრამები
მეორე	ხშირად არა იმ ქვეყნის მკვიდრნი, სადაც კვლევა იმართება, თუმცა იმ ქვეყანაში მცხოვრებნი;	მონაცემთა სისტემური მოპოვება და ანალიზი	საერთაშორისო, ნაციონალური	საერთაშორისო შტაბბინა	ეროვნული ღონისძიებები, როგორცაა დებატები და მრგვალი მაგიდა	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ წარმომადგენლობები, უცხოეთის განვითარების პროგრამები



მესამე	იმ ქვეყნის მკვიდრნი, სადაც კვლევა იმართება და ამ ქვეყანაში მცხოვრებნი; უნდა ჰქონდეს იმ საზოგადოების ნდობა;	მონაცემთა სისტემური მოპოვება და ანალიზი	ნაციონალური, საზოგადოების დონეზე	ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები, უსაფრთხოების ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება (ვისაც ევალება), ეროვნული შტაბბინა და ადგილობრივი ოფისები (ანალიზისთვის)	მეთვალყურეები უშუალოდ არიან ჩაბმული, ასრულებენ მედიატორის როლს. დაინტერესებულ მხარეებთან ეროვნულ დონეზე უშუალო შუამდგომლობას სწევენ;	ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები, წარმომადგენლების მქონე საერთაშორისო არასამთავრობოები.
მეოთხე	იმ ქვეყნის მკვიდრნი, სადაც კვლევა იმართება და ამ ქვეყანაში და იმ საზოგადოებაში მცხოვრებნი. (მონიტორები წინასწარ არ ინიშნება)	ცალკეული ადამიანებისა და საზოგადოების გაძლიერება, რათა მათ იმგვარად და იმ დროში იმოქმედონ, რომ სიცოცხლის და სიცოცხლის უნარიანობის დანაკარგი და ქონების ზარალი შეამცირონ**	საზოგადოების დონეზე	საზოგადოების უფლებათა მქონე წევრები	კონფლიქტისადმი მზაობა და მოულოდნელი სიტუაციებისათვის დაგეგმვა უშუალოდ მოსახლეობასთან/რისკის წინაშე მდგარ უფლების მქონე ადამიანებთან	ინიციატივები საზოგადოების დონეზე, სადაც მხარდაჭერა და სიმძლავრეების შექმნა მოდის ეროვნული/საერთაშორისო არასამთავრობოებისაგან ან მთავრობის მხარდაჭერა არსებობს

\*\* აგს ადამიანებზე ორიენტირებული უნდა იყოს. მათ ხალხს მხარი უნდა დაუჭირონ და გააძლიერონ იმაში, რომ მათ საკუთარი თავი დაიცვან. რათა „ბოლო მილიც გავიაროთ“, აგს-სადმი ინტეგრირებული მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს რისკის წინაშე მდგარი ადამიანების საჭიროებებს, პრიორიტეტებს, სიმძლავრეებსა და კულტურას. რისკის წინაშე მდგარი ადამიანები სისტემის პარტნიორები უნდა იყვნენ და არა სისტემის კონტროლს დაქვემდებარებული. <sup>21</sup>

დასკვნის სახით, ადრეული გაფრთხილების განსაზღვრებები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ისინი ერთია ინფორმაციის მონიტორინგის, აღრიცხვის, ანალიზისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით კონფლიქტის ესკალაციის შესახებ და მიზნად იმ რეაგირების სტიმულირებას ისახავს, რომელიც დესტრუქციული შედეგების შერბილებას მოახდენს.

აგს-ზე რეაგირება დამოკიდებული იქნება პროგრამის თავდაპირველ განზრახვაზე (მაგ. ყურადღების გაზრდა საზოგადოების მხრიდან, საზოგადოების მეტი მზაობის უზრუნველყოფა, კონკრეტული პრობლემების მოგვარება და ა.შ.). რეაგირება როგორც წესი მონაწილეებს შეესაბამება, რადგან რეაგირების გარკვეული სახეობები მხოლოდ კონკრეტულ მონაწილეებს ხელეწიფებათ. მაგალითად ეკონომიკური სანქციები ან სამხედრო მოქმედება ის ნაბიჯებია, რომლებიც წარმატებით მხოლოდ სახელმწიფოს ან საერთაშორისო/რეგიონული ორგანიზაციების მიერ განხორციელდება, არასამთავრობოები და სხვა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები კი უკეთ შეძლებენ საზოგადოების მონაწილეობაზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას. აგს-ის სფეროში ბოლო პერიოდის მოვლენები უფრო ადგილობრივ საზოგადოებებთან მჭიდროდ მუშაობას ეფუძნება და მათ ელასტიურობასა და მომზადებულობას ისახავს მიზნად (ნაცვლად იმისა, რომ გარე მონაწილეთა მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ჩამოაყალიბოს). მოლაპარაკება მხოლოდ სახელმწიფოებით არ შემოიფარგლება, მაგრამ შეიძლება და საჭიროა მრავალი მონაწილის მიერ განხორციელდეს. იდეალურ შემთხვევაში ყველა მონაწილემ ერთად უნდა იმუშაოს თავიანთი კოლექტიური ზეგავლენის გასაძლიერებლად.

### აგს პროექტების მაგალითები


- კოლუმბიის სახალხო დამცველის ოფისი ამუშავებს აგს-ს, რომელმაც გაფრთხილებები გაუგზავნა კოლუმბიის სამხედრო ძალებს, ეროვნულ პოლიციასა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებს 254 სხვადასხვა შემთხვევის შესახებ<sup>22</sup>. 2007 წელს, UNIFEM-ის კოლუმბიის ოფისმა ომბუდსმენის ოფისთან ერთად გენდერული სპეციფიკის ინდიკატორები დაამუშავა, რომლებიც აგს-ში უნდა ყოფილიყო ინტეგრირებული. UNIFEM-მა და ომბუდსმენის ოფისმა მოამზადეს სახელმძღვანელო სახელწოდებით „რადგან კონფლიქტი გაღვივდა ... მაგრამ იგი სხვაგვარად გაღვივდა“<sup>23</sup>, სადაც რეკომენდებული ინდიკატორები იყო თავმოყრილი და ახსნილი გახლდათ, თუ რატომ უნდა იქნას შეტანილი გენდერი, როგორც ფაქტორი.
- გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კრიზისის პრევენციისა და კრიზისიდან გამოსვლის ევროპისა და დსთ-ის ინიციატივა<sup>24</sup> რეგულარულ ანგარიშებს აქვეყნებს აგს-ის შესახებ, სადაც მიმოიხილავს კონფლიქტებსა და სტიქიურ უბედურებებს ეუთოს რეგიონსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ზოგიერთი ეს ანგარიში გენდერულ ანალიზსაც შეიცავდა. მაგალითად, 2007 წლის ივნისის UNDP ანგარიში<sup>25</sup> კოსოვოს შესახებ<sup>26</sup> აცხადებდა, რომ კოსოვოელ სერბ მოსახლეობას შორის კოსოვოდან

ემიგრირებას ხმა მისცა უფრო მეტმა ქალმა, ვიდრე მამაკაცმა, არასერბ მოსახლეობას შორის კი პირიქით მოხდა.

- UNIFEM დსთ პროექტი და დასკვნითი ანგარიში „ფერგანას ველი: არსებული სირთულეები“ (2005) აჩვენებს, როგორ შეიძლება ქალების ადამიანთა უფლებები და გენდერული საკითხები ინტეგრირებულ იქნას საფრთხეებისა და დაუცველობის შესახებ კვლევაში. ანგარიშში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა; ის ასკვნის, რომ „ამ რეგიონში ქალები მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან, რადგან აქ არა მხოლოდ სიღარიბე იმატებს და ქალების მცირე რაოდენობაა წარმოდგენილი ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებაში, არამედ ხდება უამრავი პატრიარქალური ტრადიციის აღდგენა და მამაკაცები კვლავაც დომინირებენ, აკონტროლებენ რა ძირითად ეკონომიკურ რესურსებს.“<sup>27</sup> ანგარიში რიგი რეკომენდაციებით მთავრდება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე რეაგირების შესახებ.
- „კონფლიქტის შესახებ ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მექანიზმი“ (CEWARN) არის განვითარების შესახებ მთავრობათაშორისი ორგანოს (IGAD) ინიციატივა, რომელიც „აფრიკის რქის“ რეგიონში მშვიდობასა და უსაფრთხოებას უწყობს ხელს. პროტოკოლით<sup>28</sup> დადგენილია ის სფეროები, რომლებზეც CEWARN-ს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია, მათ შორისაა კონფლიქტები საძოვარ და სარწყავ ადგილებზე, კონტრაბანდა, უკანონო ვაჭრობა და იძულებითი ემიგრაცია. შემუშავდა სპეციფიკური მაჩვენებლები<sup>29</sup> აღმოცენებადი კონფლიქტების მონიტორინგის მიზნით, რომელთაგან ზოგიერთი გენდერულ პერსპექტივას მოიცავს.<sup>30</sup>
- უშაჰიდი<sup>31</sup> არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ორგანიზაციებს საშუალებას უქმნის ძირითადი ინფორმაციული ტექნოლოგიის მეშვეობით აწარმოონ აგს. ამ პროგრამის საშუალებით ყველას აქვს შესაძლებლობა ინციდენტების შესახებ ანგარიში გაგზავნონ მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ინტერნეტის მეშვეობით და ინფორმაცია იმავე არხებით მიიღონ. პროგრამაში სხვადასხვა გზით შეიძლება გენდერული საკითხების ინტეგრაცია; ამის ერთ-ერთი გზაა იმის უზრუნველყოფა, რომ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები იცნობენ უშაჰიდის სისტემებს და იციან მათი გამოყენება.

#### 4. გენდერი ადრეული გაფრთხილების სისტემებში

ხანგრძლივი დისკრიმინაციული პრაქტიკის შედეგად ქალები შეიძლება გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და რეაგირების მნიშვნელოვანი მექანიზმების ჩამოყალიბებისაგან გათიშული დარჩნენ მთელი კონფლიქტის პერიოდში. ამის შედეგად ქალების წვლილი ამ დონისძიებების შესახებ ინფორმირებაში, დაგეგმვასა და სარგებლობაში (როგორც აგს-ის ნაწილი) გამორჩენილია.



*ქალთა მონაწილეობა აგს-ში*

იმისათვის, რათა აგს-ში გენდერიც იყოს ჩართული, საჭიროა იმ ადამიანებს შორის, ვინც აგს-ის დაგეგმვას, მონაცემთა მოპოვებას და რეაგირების მომზადებას ახორციელებს, გენდერული ბალანსი არსებობდეს.

**ქალები, როგორც ინფორმაციის მიმწოდებლები:** კონფლიქტზე რეაგირების მექანიზმებს განვითარების გზა ჯერ კიდევ გასავლელი აქვს; საჭიროა არსებობდეს უსაფრთხოების გაფართოებული გაგება, რომელიც სამხედრო საკითხებს არ ზღუდავს და ადამიანის უფლებებს თუ ქალთა უფლებებს არ უზღუდებელიყოფს. საჭიროა ასევე დადგინდეს, თუ რა წარმოადგენს უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას და ვინ აწვდის მას. ამ გაუგებრობას ხშირად შეუშლია ხელი ქალებისთვის ამ ინფორმაციის მიწოდებაში, განსაკუთრებით მოშორებულ მხარეებში მცხოვრებ ქალებს. და მაინც, ქალების პერსპექტივა შეუფასებელია – არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ გარეშე დამკვირვებლები შექმნილ მდგომარეობას მთელი სიცხადით ვერ ასახავენ, არამედ იმიტომაც, რომ ხშირად ქალები სოციალურ ურთიერთობებში მამაკაცებისაგან განსხვავებული ფორმით ებმებიან და, მაშასადამე, შეიძლება კონფლიქტი ძლიერ სხვაგვარად გამოსცადონ. შედეგად ქალები სხვაგვარ შეკითხვებს სვამენ და კონფლიქტის ციკლის სხვადასხვა ასპექტებზე აკეთებენ ფოკუსირებას; აქედან გამომდინარე, მათ ადრეული გაფრთხილებისა და კონფლიქტის პრევენციის სხვაგვარი და გამამდიდრებელი პერსპექტივა შეიძლება დაინახონ. მამაკაცებისა და ქალების მონაწილეობა ერთმანეთს ავსებს.

**ქალები, როგორც უფლებების მქონენი:** კონფლიქტისწინა საზოგადოებაში არსებული სოციალური უთანასწორობა კონფლიქტის პირობებში, როგორც წესი, უფრო მწვავედება; ამ მხრივ არც მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებული უთანასწორობაა გამონაკლისი. აგს-ში ჩაურთველობამ ეს უთანასწორობა შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავეოს, რადგან ამ დროს რეაგირება მამაკაცებისა და ქალების სხვადასხვა საჭიროებების გაუთვალისწინებლად ფორმირდება. საჭიროა აღიარებულ იქნას გენდერულ საფუძველზე ჩამოყალიბებული ძალაუფლებითი ურთიერთობების ზეგავლენა ქალების მდგომარეობაზე კონფლიქტის დროს და ის, თუ რამდენად იყენებენ ქალები თავიანთ ადამიანის უფლებებს ასეთ დროს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალები და მამაკაცები უსაფრთხოებას სხვადასხვაგვარად გამოსცდიან და მათი საჭიროება – თავი დაცულად იგრძნონ – სხვადასხვაა. ადგილმდებარეობა გადაამწყვეტი ფაქტორია. ქალები მამაკაცებთან შედარებით სხვა ადგილებში

გრძნობენ თავს დაუცველად. ამ განსხვავებების და დისკრიმინაციის ფორმების ცოდნა და გაგება მნიშვნელოვანია, როცა აგს-ის მონაცემებზე რეაგირების შემუშავება ხდება, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ რეაგირება უნებლიეთ კიდევ უფრო არ ამწვავებს არსებულ უთანასწორობას და ყველა უფლების მქონეს თანაბრად სწვდება. ამით რეაგირება უფრო ეფექტური ხდება და შეიძლება კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებსაც ჩასწვდეს, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველი დარჩებოდა.

**დისკრიმინაცია:** ქალების დისკრიმინაცია სოციალურმა, კულტურულმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა გამოიწვია; მათზე ყურადღების მიქცევით შესაძლებელია უკეთ გავიგოთ, თუ როგორ არაპროპორციულად იტანჯებიან ქალები ადამიანთა ზოგიერთი უფლების დარღვევით და როგორ მოვახდინოთ უკეთ რეაგირება. ამ გაგების ზოგიერთი უპირატესობა ასეთია:

- შეგვეძლოს სხვა, ახალი კითხვების დასმა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების და ფართო საზოგადოებაზე მისი ზეგავლენის შესახებ;
- ყურადღება მივაქციოთ ტრადიციულად დაუცველ ჯგუფებს, რომლებიც კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე სამიზნე ხდებიან, სანამ ძალადობა ფართო მასშტაბებს მიიღებდეს<sup>32</sup>; და
- პრაქტიკოსებს საშუალება მივცეთ იფიქრონ, თუ რა გზით მოქმედებს კონფლიქტის ესკალაცია და ძალადობა საზოგადოების სხვადასხვა წევრებზე – ქალებსა და მამაკაცებზე.

**ქალთა უფლებების შესახებ ანგარიშის მომზადება:** აგს-ის შემუშავებისა და განხორციელების დროს პოლიტიკის შემქმნელები და პრაქტიკოსები არ ცნობდნენ სტრუქტურულ თუ კონფლიქტის სპეციფიკით გამოწვეულ, გენდერულ განსხვავებებს ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობას შორის, საფრთხისა და დაუცველობის აღქმასა და გამოცდილებას. არათანაბარი გენდერული იერარქია, ქალების კომპრომისული სიტუაციები, უთანასწორობა და ჩაგვრა საზოგადოებათა ის მახასიათებლებია, რომლებიც კონფლიქტს უდევს საფუძვლად ან უკვე კონფლიქტშია ჩართული.<sup>33</sup> გენდერულად ნეიტრალური ანალიზის ან ადამიანთა უფლებების დარღვევის შესახებ ანგარიშის შედეგად ყოველთვის არაა შესაძლებელი ადექვატურად აისახოს ძალადობის სხვადასხვა ზეგავლენა მამაკაცებსა და ქალებზე. რადგანაც საფრთხე არა საზოგადოებრივ, არამედ პირად საკითხადაა მიჩნეული (მათ შორის სექსუალური და ოჯახური ძალადობა), ისინი ხშირად არაპოლიტიკურ ჭრილში განიხილება,<sup>34</sup> არის რისკი, რომ აგს-ის შესახებ ანგარიშგება არაპროპორციულად განიხილავს უსაფრთხოების რისკებს, რომლებიც მამაკაცებზე ახდენს ზეგავლენას.

გენდერულ ანალიზს აგს-ში შეუძლია ისეთი საკითხები წარმოშვას, რომლებიც დაკავშირებულია ქალების უფლებების დარღვევასთან და რომლებიც კონფლიქტს წარმოშობს ან მისი უშუალო შედეგია. უფრო დაბალი სტატუსი, რომელიც ქალებს აქვთ ხოლმე უმეტეს მამაკაცებთან შედარებით, შეიძლება იმის გამომწვევი იყოს, რომ მათ პირველებმა გამოსცადონ უსაფრთხოების

დონის შესუსტება. აქედან გამომდინარე, მათი გამოცდილება შეიძლება გახდეს გაფრთხილება მოსალოდნელი გაფართოებული შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ. ამ საკითხის მოსაგვარებლად გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2009 წლის სექტემბრის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1888 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ. დოკუმენტი მოუწოდებს უფრო დეტალური და სისტემური ანგარიშგებისაკენ, რათა ყურადღების მიღმა არ დარჩეს კონფლიქტის დროს ქალებზე სექსუალური ძალადობის ტენდენციები. მონიტორინგმა უნდა მოიცვას როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული (ესკ), ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

**სტრუქტურული ფაქტორები:** ესკ უფლებები კარგ ცოდნას გვაძლევს დისკრიმინაციის გამომწვევი არსებული სტრუქტურული ფაქტორების შესახებ. და მაინც, ამ დარღვევებსა და გენდერს შორის კავშირი კონფლიქტის პრევენციის კონტექსტში ხშირად იგნორირებულია. ამ კავშირის იგნორირების შედეგად სტერეოტიპები შეიძლება უფრო გამყარდეს და კონფლიქტის დროს ქალების წინაშე მდგარი საფრთხეები უფრო გამწვავდეს. როცა სახელმწიფოები ისეთ ნაბიჯს დგამენ, რომელიც ზღუდავს მამაკაცებისა და ქალების მიერ ესკ უფლებებით სარგებლობის თანაბარ უფლებებს, რითაც კიდევ უფრო მწვავდება ის დისკრიმინაცია, რომელსაც ქალები უკვე შეიძლება განიცდიდნენ, ეს შეიძლება არასტაბილურობის გაზრდის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს.

ამიტომ, აუცილებელია, რომ მანქნებლების ის ფართო სპექტრი, რომელიც ესკ უფლებებსაც მოიცავს, შემუშავდეს და აგს-ის ნაწილად იქცეს. გარდა ამისა, საჭიროა უფრო დაბალანსებული გუნდი, რომელსაც მეტი შესაძლებლობა ექნება უზრუნველყოს, რომ მანქნებლების უფრო მრავალფეროვანი სპექტრი შემუშავდეს, რომელთა მეშვეობითაც უფლებების დარღვევის მონიტორინგი და აღმოფხვრა იქნება შესაძლებელი.

ქალების ადამიანთა უფლებებს, რომლებიც კონფლიქტის ციკლის დროს - კონფლიქტის გაღვივებამდე, უშუალოდ კონფლიქტის დროს და მომდევნო პერიოდში იღახება, შემდეგი ძალადობრივი გამოვლინებები შეიძლება ჰქონდეს (ცხრილში შეტანილია შესაბამისი წყაროები):

გამოვლინება	წყარო
<p>სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვა ან დაკარგვა</p> <p>მოქალაქეებზე განზრახ და განურჩევლად თავდასხმა</p> <p>გენდერული ძალადობა</p> <p>ბოროტული, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• UDHR მუხლი. 3, 5, 12</li> <li>• ჟენევის კონვენცია, დამატებითი პროტოკოლი, მუხლი 57, 58</li> <li>• ICCPR მუხლი 6 (სიცოცხლე), 17</li> <li>• ECHR მუხლი. 8</li> <li>• UNSCR 1325, პარ. 10, UNSCR 1820, UNSCR 1888 ქალების, მშვიდობისა</li> </ul>

	<p>და უსაფრთხოების შესახებ</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეუთოს ვენის დოკუმენტი 1989</li> <li>• ეუთოს პარიზის დოკუმენტი 1990</li> <li>• ეუთოს ბუდაპეშტის დოკუმენტი 1994; გადაწყვეტილება VIII</li> <li>• ეუთოს ლიუბლიანას დოკუმენტი 2005 გადაწყვეტილება 15/05</li> <li>• ეუთოს ბრიუსელის დოკუმენტი, გადაწყვეტილება 14/06</li> </ul>
<p>გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკური მონაწილეობისაგან გამორიცხვა</p> <p>გენდერული დისკრიმინაცია</p> <p>მონაწილეობაზე წვდომის დაკარგვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ECHR მუხლი 14</li> <li>• ICCPR მუხლი 3, 26</li> <li>• CEDAW მუხლი. 2, 15</li> <li>• UDHR მუხლი 1, 2, 6, 7, 21</li> <li>• UNSCR 1325, პარ. 1, 2, 4, 15</li> <li>• გაეროს წესდების პრეამბულა</li> <li>• ეუთოს მადრიდის დოკუმენტი 1983; პრინციპები</li> <li>• ეუთოს ვენის დოკუმენტი 1989; პრინციპები</li> <li>• ეუთოს ლიუბლიანას დოკუმენტი 2005, გადაწყვეტილება 14/05</li> <li>• ეუთოს სოფიას დოკუმენტი, გადაწყვეტილება 14/04</li> </ul>
<p>ადამიანის განვითარების შეზღუდვა</p> <p>ჯანმრთელობის უფლების შეზღუდვა (სამედიცინო, ფსიქოლოგიური, სქესობრივი)</p> <p>სიცოცხლისუნარიანობაზე წვდომის შეზღუდვა</p> <p>სოციალურ მომსახურებასა და სოციალურ დაცვაზე წვდომის შეზღუდვა</p> <p>შემოსავლის მომტან საქმიანობაზე წვდომის დაკარგვა</p> <p>ინფორმაციაზე წვდომის დაკარგვა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• UDHR მუხლი 23, 25</li> <li>• CRSR მუხლი 17, 23</li> <li>• ICESCR მუხლი 6 (მუშაობა/არსებობის წყარო), 9 (სოციალური დაცვა), 11 (ცხოვრების სტანდარტები), 12 (ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა)</li> <li>• UNSCR 1325, პარ 8, 9</li> <li>• ეუთო ვენა 1989</li> <li>• ეუთო ბონი 1990</li> <li>• ეუთო პარიზი 1990</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეუთო სტამბული 1999; პარ. 5</li> </ul>
<p>სოციალური/სქესობრივი ცხოვრების თავისუფლების დაკარგვა (პარტნიორის არჩევის უფლების არქონა, ძალდატანებითი ქორწინება)</p> <p>რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაზიანება</p> <p>პირად ცხოვრებასა და ოჯახზე უფლების შეზღუდვა ან დაკარგვა</p> <p>ძალდატანებითი პროსტიტუცია</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• UDHR მუხლი 12, 16</li> <li>• ICESCR მუხლი 10</li> <li>• ICCPR მუხლი 15</li> <li>• ეუთო მადრიდი 1983</li> <li>• ეუთოს ბრიუსელის დოკუმენტი 2006 გადაწყვეტილება 14/06</li> </ul>
<p>ქონებაზე უფლების შეზღუდვა ან დაკარგვა ძალდატანებითი გასახლება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• UDHR მუხლი 17</li> <li>• ECHR პროტოკოლი 1, Art. 1</li> <li>• CRSR მუხლი 21</li> <li>• ეუთო ბონი 1990</li> <li>• ეუთო კოპენჰაგენი 1990, პარ. 9.6</li> <li>• ეუთო პარიზი 1990</li> </ul>
<p>სამართლიან სასამართლო პროცესებზე წვდომის არქონა</p> <p>გენდერული ძალადობის დაუსჯელობა</p> <p>კანონიერი კორექტირების არქონა, კომპენსაცია</p> <p>ქალი მსხვერპლების გასწორების ნაკლებობა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ICCPR მუხლი 3, 14</li> <li>• UDHR მუხლი 8, 10</li> <li>• რომის კანონის მუხლი 21(3)</li> <li>• რომის კანონის მუხლი 7(1)(g)</li> <li>• CRSR მუხლი 16</li> <li>• UNSCR 1325, პარ 11</li> <li>• ეუთო ვენა 1989; პარ. 13.9</li> <li>• ეუთო კოპენჰაგენი 1990</li> <li>• ეუთო ლიუბლიანა 2005; გადაწყ. 15/05</li> <li>• ეუთო ჰელსინკი 2008; ჰელსინკი 7/08</li> </ul>
<p>მოდრაობის თავისუფლების შეზღუდვა იძულებითი გადაადგილება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• UDHR მუხ. 13</li> <li>• CRSR მუხ. 26</li> <li>• ICCPR მუხ. 12</li> <li>• ეუთოს ჰელსინკის დოკუმენტი 1975</li> <li>• ეუთოს ვენის დოკუმენტი 1989, პარ. 20</li> <li>• ეუთოს ჰელსინკის დოკუმენტი 1992,</li> </ul>



	პარ. 40
<p>მონობა</p> <p>გაუმართლებელი დაკავება</p> <p>იძულებითი მუშაობა</p> <p>შეიარაღებულ ძალებში იძულებითი გაწვევა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ICCPR პარ. 8</li> <li>• ეუთოს ვენის დოკუმენტი 1989, პარ. 23.1</li> <li>• ეუთოს მოსკოვის დოკუმენტი 1991. 23.1</li> <li>• ეუთოს პორტოს დოკუმენტი 2002</li> <li>• ეუთო მასტრიხტი 2003</li> <li>• ეუთოს ბრიუსელის დოკუმენტი 2005 გადაწყვეტილება 14/06</li> </ul>
<p><b>საერთაშორისო:</b></p> <p>UDHR – ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაცია</p> <p>CRSR – ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული კონვენცია</p> <p>ICESC – საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ</p> <p>ICCPR – საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ</p> <p>CEDAW – კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ</p> <p>რომის კანონი საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლის შესახებ</p> <p>გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 1325 და 1820 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ</p> <p><b>ეუთო:</b></p> <p>ეუთოს ჰელსინკის დოკუმენტი 1975: ჰუმანიტარულ და სხვა სფეროებში თანამშრომლობა</p> <p>ეუთოს მადრიდის დოკუმენტი 1983: ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები</p> <p>ეუთოს ვენის დოკუმენტი 1989: ევროპაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები</p> <p>ეუთოს ვენის დოკუმენტი 1989 : ჰუმანიტარულ და სხვა საკითხებში თანამშრომლობა</p>	

ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი 1990

ეუთოს პარიზის დოკუმენტი 1990 : დემოკრატიის, მშვიდობისა და ერთობის ახალი ერა

ეუთოს მოსკოვის დოკუმენტი 1991

ეუთოს ჰელსინკის დოკუმენტი 1992 გადაწყვეტილება VI: ადამიანური განზომილება

ეუთოს სტამბულის დოკუმენტი 1991: ევროპის უსაფრთხოების ქარტია II : ჩვენი საერთო სირთულეები

ეუთოს პორტოს დოკუმენტი 2002: ადამიანთა ტრეფიკინგის დეკლარაცია

ეუთო მასტრიხტი 2003: ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ გადაწყვეტილება

ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 14/04 – სოფიას მინისტრიალის გადაწყვეტილება ნომერი 14/04 2004 ეუთოს გენდერული თანასწორობის სტიმულირების სამოქმედო გეგმა

ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 14/05 – ლიუბლიანას მინისტრიალის გადაწყვეტილება ნომერი 14/05 ქალები კონფლიქტის პრევენციაში, კრიზისის მართვასა და პოსტ-კონფლიქტურ რეაბილიტაციაში


ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 15/05 – ლიუბლიანას მინისტრიალის გადაწყვეტილება ნომერი 15/05 ქალებზე ძალადობის პრევენციისა და დაძლევის შესახებ

ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 14/06 – ბრიუსელის მინისტრიალის საბჭოს გადაწყვეტილება ნომერი 14/06: ადამიანთა ტრეფიკინგის, მათ შორის შრომითი ექსპლოატაციის, წინააღმდეგ, თანმიმდევრული და პროაქტიული მიდგომით ღონისძიების გამკაცრების შესახებ.

ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 7/08 – ჰელსინკის მინისტრიალის გადაწყვეტილება ნომერი 7/08 ეუთოს ფარგლებში კანონის უზენაესობის კიდევ უფრო გაძლიერება

*აგს-ში გენდერული საკითხების ინტეგრირებისაკენ გადასადგმელი ნაბიჯები*

აგს-ის შექმნა გენდერული პერსპექტივით მოითხოვს გარგად გააზრებულ სტრატეგიას, სათანადოდ განვითარებულ მეთოდოლოგიას და აქტიურ მონაწილეობას. ODIHR-ის მეორე წერილში უფრო დეტალურად იქნება მოცემული, თუ როგორ უნდა შემუშავდეს ისეთი მანქანებლები, რომლებიც გენდერულ საკითხებს გაითვალისწინებს. სამი ძირითადი კომპონენტი – კითხვა, შეფასება და ახსნა – იმ კითხვების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი რეაგირების მოსამზადებლად მონაცემთა მოპოვებისათვის.



## 5. შეჯამება

- ყველა ადამიანი – მამაკაცები და ქალები – მიჩნეული უნდა იქნას უფლებების მქონედ და, აქედან გამომდინარე, თანაბრად. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგს-ის შემუშავებასა და განხორციელებაში და უზრუნველყონ, რომ მათი უფლებები კონფლიქტის ციკლის დროს დაცული იქნება.
- გენდერი სხვადასხვა საჭიროებასაც ასახავს და საჭიროებებისა და ინტერესების სხვადასხვაგვარ აღქმასაც (მამაკაცები და ქალები უსაფრთხოებას სხვადასხვაგვარად აღიქვამენ); ამიტომ ის შეიძლება სასარგებლო იყოს აგს-სთვის, უფრო დეტალური სურათის მისაღებად და რეაგირების უფრო სრული სახით მომზადებისათვის.
- აგს-ში გათვალისწინებული უნდა იქნას ის სხვადასხვა და მრავალფეროვანი როლები, რომლებსაც ქალები თამაშობენ კონფლიქტის კონტექსტში, მათ შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში;
- გენდერული პერსპექტივის ჩართვა აგს-ში ნიშნავს, თანაბრად დაეყრდნო როგორც მამაკაცებს, ასევე ქალებს - როგორც სხვათა დამკვირვებლებს და უზრუნველყო, რომ ქალებზე ძალადობა/მუქარა ანგარიშში აისახება;
- კონფლიქტთან დაკავშირებული ან აღქმული რისკების უფრო სრულყოფილი სურათი უკეთესი ტრენინგის საფუძველს ქმნის და

ყველას უქმნის იმის საშუალებას, რომ ამგვარი სიტუაციები ამოიციონ, აღიარონ და დროულად გააკეთონ რეაგირება;<sup>35</sup>

- აგს-ში გენდერული პერსპექტივის ჩართვა უფრო ეფექტური იქნება იმ თვალსაზრისით, რომ ყველა ადამიანის ჩაბაბმს კონფლიქტისთვის მომზადებასა თუ დაგეგმვისა და შემდგომი რეაგირების საქმიანობაში; ეს კი თანაბრად მისწვდება და იმოქმედებს როგორც მამაკაცებზე, ასევე ქალებზე;
- გენდერული ანალიზის შედეგად ასევე შესაძლებელია მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობების ანალიზი და ამის შედეგად კონფლიქტის წინა ნორმებისა და იმ დისკრიმინაციული პოლიტიკის დამკვიდრებისათვის თავის არიდება, რომელიც გენდერული როლების არასწორი გაგებითაა გამოწვეული;
- გენდერული პერსპექტივის სისტემური ინტეგრაცია ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის პროცესში უზრუნველყოფს ინფორმაციის არსებობას როგორც მამაკაცების, ასევე ქალების მდგომარეობის შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ როგორ ახორციელებენ ისინი პრაქტიკაში ადამიანის უფლებებს, აქვთ თუ არა წვდომა დაცვაზე და კონტროლი რესურსებზე;
- აგს-ში კვლავ უნდა იქნას გათვალისწინებული არა მხოლოდ მოვლენების შესახებ მონაცემები (მაგ. ცალკეული მოვლენების შესახებ ანგარიში), არამედ მიმდინარე, სტრუქტურული ფაქტორებიც;
- გენდერისადმი მგრძობიარე აგს-ს შეუძლია ფასეული, გენდერზე დაფუძნებული მონაცემები/ანალიზი მიაწოდოს კონფლიქტის პრევენციითა და მშვიდობის დამყარებით დაკავებულ მხარეთა ფართო სპექტრს და დაეხმაროს მათ მთელს მოსახლეობაზე უფრო მასშტაბური და თანაბარი ზეგავლენის მოხდენაში.

---

<sup>1</sup> დოკუმენტი მოამზადა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების ოფისმა; ტექსტის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს დოქტორმა სუზანნე შმაიდიმ (ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტი და კავშირების ოფისი, ავღანეთი). მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, ვინც თავისი წვლილი შეიტანა და რედაქტირება გაუკეთა დოკუმენტს: დოქტორ ან-ჟანეტ როსგას, (ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის), პატრიკ მაიერს (ტუფტსის უნივერსიტეტი), კრისტელ მაასენს (დამოუკიდებელი კონსულტანტი), დოქტორ ქრისტინ მიულერს (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ინსტიტუტი), ელის აკერმანს, ერიკ ფალკეჰედს და მონიკ იშის (ეუთოს კონფლიქტების პრევენციის ცენტრი).

<sup>2</sup> მინისტრთა საბჭოს დადგენილება ნომერი 14/05 „ქალები კონფლიქტის პრევენციაში, კრიზისის მართვასა და პოსტ-კონფლიქტურ რეაბილიტაციაში“ ეუთოს ვებ გვერდი: [http://www.osce.org/documents/mcs/2005/12/17432\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/mcs/2005/12/17432_en.pdf).

<sup>3</sup> მინისტრთა საბჭოს დადგენილება ნომერი 15/05 „ქალებზე ძალადობის პრევენციისა და დაძლევის შესახებ“, ეუთოს ვებ გვერდი: [http://www.osce.si/mc-docs/mc\\_15\\_05.pdf](http://www.osce.si/mc-docs/mc_15_05.pdf)

<sup>4</sup> კონფლიქტის მოგვარებისას ორი ფაქტორის კომბინაცია უაღრესად მნიშვნელოვანია. პირველი ფაქტორია პოლიტიკურად ინკლუზიური მთავრობა, რომელიც პოლიტიკურ დონეზე ახდენს უმრავლესობის ერთეულთა ყველა ჯგუფის წარმომადგენელთა ინტეგრაციას. მეორე ფაქტორი არის ისეთი სოციალური სისტემის რეალიზაცია, რომელიც ფართოდ ავრცელებს პროგრესის სარგებელს, რითაც სოციალურ-ეკონომიკურ ზრდას აძლევს სტიმულს საზოგადოების ყველა მნიშვნელოვან რეგიონულ, რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის - ანუ, მშვიდობის უზრუნველსაყოფად საჭიროა პოლიტიკურად და ეკონომიკურად ინკლუზიური მთავრობის კომბინაცია. [Gudrun Østby, „ჰორიზონტალური უთანასწორობა, პოლიტიკური გარემო და სამოქალაქო კონფლიქტი: 55 განვითარებადი ქვეყნის მაგალითები 1986-2003“ (1 აპრილი, 2007). მსოფლიო ბანკის პოლიტიკური კვლევების დოკუმენტი ნომერი 4193. ციტირებულია: დერეკ ევანსი, „ადამიანთა უფლებების და სახელმწიფოს მსხვერვალობა: სახელმწიფოს მშენებლობის კონცეპტუალური საფუძვლები და სტრატეგიული მიმართულებები“ ადამიანთა უფლებების პრაქტიკის ჟურნალი, ტომი 1, ნომერი 2, 2009, გვ. 181-207. <<http://jhrp.oxfordjournals.org/cgi/content/full/1/2/181>>].

<sup>5</sup> მარი მიკოლა „სქესისა და გენდერის ფემინისტური პერსპექტივები“ სტენფორდის ფილოსოფიის ენციკლოპედიის ვებგვერდი 12 მაისი, 2008. . <<http://plato.stanford.edu/entries/feminism-gender/>>.

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ეს ტერმინი ყირგიზეთში 2005 წლის პოლიტიკური არეულობის დროს ფართოდ გამოიყენებოდა, როცა ქალთა ჯგუფები პროტესტანტთა პირველ რიგებში აღმოჩნდა. ანარა მუსაბაევა და ანარა მოლდოშევა „ფერგანას ველი: არსებული სირთულებები“ 2005. გვ. 64 UNIFEM ვებგვერდი <[http://unifem.org/materials/item\\_detail.php?ProductID=102](http://unifem.org/materials/item_detail.php?ProductID=102)>.

<sup>8</sup> იხ. ასევე სანამ ნარაგი ანდერლინი „გენდერის ძირითადი მიმართულებები კონფლიქტის ანალიზში: საკითხები და რეკომენდაციები“ სოციალური განვითარების დოკუმენტები, დოკ. ნომერი 33. თებერვალი 2006 მსოფლიო ბანკის ვებგვერდი <[http://www-wds.worldbank.org/servlet/main?menuPK=64187510&pagePK=64193027&piPK=64187937&theSitePK=523679&entityID=000090341\\_20060213143713](http://www-wds.worldbank.org/servlet/main?menuPK=64187510&pagePK=64193027&piPK=64187937&theSitePK=523679&entityID=000090341_20060213143713)>.

<sup>9</sup> მოზერი, ანალიზი „სოლომონის კუნძულებზე მშვიდობისა და კონფლიქტის მონიტორინგი“ აგს ანგარიში ნომერი UNIFEM, აგვისტო 2005, გვ. 10., ქალები/ომი და მშვიდობა ვებგვერდი <[http://www.womenwarpeace.org/webfm\\_send/373](http://www.womenwarpeace.org/webfm_send/373)>.

<sup>10</sup> მოზერი, ანალიზი „მშვიდობისა და კონფლიქტის გენდერული ანალიზი: საზოგადოებრივი მონაცემები სოლომონის კუნძულებიდან“ UNIFEM: მაისი 2005. ქალები/ომი და მშვიდობა ვებგვერდი, <[http://www.womenwarpeace.org/webfm\\_send/696](http://www.womenwarpeace.org/webfm_send/696)>. ანგარიშის პირველ დანართში მოცემულია დეტალური ანალიზი იმისა, თუ რა როლები აითვისეს მამაკაცებმა და ქალებმა კონფლიქტის და მშვიდობის დროს, და მათი ზეგავლენა

<sup>11</sup> არსებობს გაეროს ვებგვერდზე, <<http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/>>.

<sup>12</sup> პეინის დეკლარაცია და ღონისძიებათა პლატფორმა 1995 გაეროს ვებგვერდი <<http://www.un.org/esa/gopher-data/conf/fwcw/off/a--20.en>>.

<sup>13</sup> UNSCR 1325 „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ვებგვერდი <<http://www.peacewomen.org/un/sc/1325.html>>.

<sup>14</sup> UNSCR 1820 „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდი <<http://daccess-ods.un.org/TMP/6293813.html>>.

<sup>15</sup> UNSCR 1888 „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ქორდაიდის ვებგვერდი <<http://daccess-ods.un.org/TMP/1930876.html>>.

<sup>16</sup> ეუთოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება ნომერი 14/05, „*op. cit.*“, ნოტა 2.

<sup>17</sup> ეუთოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება ნომერი 14/04, „ეუთოს ღონისძიებათა გეგმა გენდერული თანასწორობის სტიმულირებისათვის“ ეუთოს ვებგვერდი <[http://www.osce.org/documents/mcs/2004/12/3917\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/mcs/2004/12/3917_en.pdf)>.

<sup>18</sup> იხ. ტედ რობერტ გური, „აგს: დაკვირვებიდან შეფასებამდე და მოქმედებამდე (ნიუ იორკი, ჰარპერ კოლინზი, 1996) „მსოფლიოს უბედურებათა ანგარიში 2009: ფოკუსი ადრეულ გაფრთხილებასა და ადრეულ მოქმედებაზე“ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო საზოგადოების ვებგვერდი <<http://earlywarning.wordpress.com/>>

<sup>19</sup> იხ. ბიბლიოგრაფია: ეუთოს მანდატი ადრეულ გაფრთხილებაზე ეუთოს ოფიციალურ დოკუმენტებში, ეუთოს ვებგვერდი <[http://www.osce.org/documents/sg/2004/11/4055\\_en.pdf](http://www.osce.org/documents/sg/2004/11/4055_en.pdf)>.

<sup>20</sup> ეს შეჯამება მიღებულია: „მეოთხე თაობის ადრეული გაფრთხილების სისტემები“ (გადამუშავებული ვერსია) ადრეული გაფრთხილების ვორდპრესის ვებგვერდი: <<http://earlywarning.wordpress.com/2009/03/06/fourth-generation-early-warning-systems>>; დავიდ ნაიჰაიმი „ძალადობის, ომის და სახელმწიფოს ჩამოშლის პრევენცია: ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების მომავალი“ (Paris: OECD, 2009); „მესამე თაობის ადრეული გაფრთხილება“ აზიის ტრიბუნა, 2 ივლისი 2009.

<sup>21</sup> კონფერენციის ანგარიში „ადრეული გაფრთხილება – ცნებიდან მოქმედებამდე: ადრეული გაფრთხილების შესახებ მესამე საერთაშორისო კონფერენციის დასკვნები~, უბედურების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სამდივნო, უბედურების შემცირების გერმანიის კომიტეტი 2006, გვ. 19, იხ. t <[www.ewc3.org/upload/downloads/Early\\_warning\\_complete2.pdf](http://www.ewc3.org/upload/downloads/Early_warning_complete2.pdf)>.

<sup>22</sup> იხ. ვებგვერდი U.S. Aid, <[http://www.usaid.gov/locations/latin\\_america\\_caribbean/country/program\\_profiles/colombiaprofile.html](http://www.usaid.gov/locations/latin_america_caribbean/country/program_profiles/colombiaprofile.html)>.

<sup>23</sup> ‘Porque el Conflicto Golpea... pero Golpea Distinto’ (რადგან კონფლიქტი გაღვივდა, მაგრამ იგი სხვაგვარად გაღვივდა), კოლუმბიის სახალხო დამცველი (UNIFEM კოლუმბიის მხარდაჭერით), ოქტომბერი 2007, იხ. ვებგვერდი ესპანურ ენაზე <<http://terranova.uniandes.edu.co/centrodoc/docs/prevencion/PoliticasyCartilla%20Monitoreo%20Conflicto%20Indicadores%20de%20Genero.pdf>>.

<sup>24</sup> იხ. გაეროს განვითარების პროგრამის ვებგვერდი, <<http://europeandcis.undp.org/cpr>>.

<sup>25</sup> „ადრეული გაფრთხილების ანგარიში – კოსოვო, ანგარიში ნომერი 17, აპრილი-ივნისი 2007“, USAID, UNDP, <<http://europeandcis.undp.org/cpr/show/FFC3DBF1-F203-1EE9-B1333FECBD195FC1>>.

<sup>26</sup> ეუთო სტატუსების მიმართ ნეიტრალურია და შესაბამისად, არ ეხება კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხს.

<sup>27</sup> მუსაბაევა და მოლდოშევა, „ფერგანას ველი: არსებული სირთულეები“ ნოტა 5

<sup>28</sup> იხ. <<http://www.cewarn.org/documents/protocol.pdf>>.

<sup>29</sup> CEWARN-ის ინდიკატორები იხ. მის ვებგვერდზე, <[http://www.cewarn.org/index\\_files/Page544.htm](http://www.cewarn.org/index_files/Page544.htm)>.

<sup>30</sup> რესურსების გზამკვლევი და ტრენინგის სახელმძღვანელო გენდერული საკითხების შეტანის შესახებ CEWARN-ში (მათ შორის გენდერული მგრძობელობის მქონე ინდიკატორების, გენდერული ანალიზისა და გენდერული მგრძობელობის მქონე რეაგირების მომზადება) ამჟამად ამაზე მუშაობენ დოქტორი სუზანნე შმაიდი და დეხა იბრაჰიმ აბდი.

<sup>31</sup> უშაჰიდი ვებგვერდი, <<http://www.usahidi.com/>>.

---

<sup>32</sup> დაუცველი ადამიანები შეიძლება იყონ: ადამიანთა უფლებების სერიოზული დარღვევის მსხვერპლნი, ეთნიკური, რელიგიური და რასული უმცირესობები; ჯგუფები, რომლებზეც ხორციელდება დისკრიმინაცია; აბორიგენი პირები, ქვეყნის შიგნით გადაადგილებული პირები, ლტოლვილები, ყოფილი მებრძოლები, მათ შორის ქალი მებრძოლები, ბავშვები და ახალგაზრდა ადამიანები, არა-ნაციონალები, მათ შორის ისინი, რომელთაც ეროვნება დაკარგეს კონფლიქტის დროს, სოფლად მცხოვრები ადამიანები, ასაკოვანი ადამიანები, ავადმყოფი ან დაჭრილი ადამიანები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები; ადამიანები, რომელთაც არ აქვთ იურიდიული დოკუმენტაცია, მაგ. ქონების დამადასტურებელი, ეროვნების ან იურიდიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები; ემიგრანტები, ტრეფიკინგის მსხვერპლნი, ადამიანთა უფლებების დამცველნი, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები, რომლებიც ადამიანთა უფლებების დაცვას ცდილობენ. ქრისტინ ჩინკინი : „ეკონომიკური, კულტურული და სოციალური უფლებები კონფლიქტის შემდეგ.“ OHCHR, 2008. <[http://www2.ohchr.org/english/issues/women/docs/Paper\\_Protection\\_ESCR.pdf](http://www2.ohchr.org/english/issues/women/docs/Paper_Protection_ESCR.pdf)>.

<sup>33</sup> არსებობს ემპირიული მტკიცებულება იმისა, რომ ის, თუ რამდენად, რა ხარისხით შეუძლიათ ქალებს პრაქტიკაში გამოიყენონ თავიანთი ადამიანის უფლებები, არის საზოგადოების სტაბილურობის მაჩვენებელი: მაღალი ხარისხი მიუთითებს კონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაჭრაზე, დაბალი კი მიანიშნებს მამაკაცურობის გაძლიერებულ ნიშანზე და საზოგადოებაში შეიარაღებული ძალების არსებობაზე. მერი კაპრიოლი, „კონფლიქტი გენდერულ საფუძველზე“ მშვიდობის კვლევის ჟურნალი, ტომი 37, ნომერი 1, 51-68 (2000).

<sup>34</sup> „ქალთა უფლებები და ადრეული გაფრთხილება – მაჩვენებლების შემუშავება“ პრაქტიკოსთა საკონსულტაციო შეხვედრის ანგარიში, რომელიც ვენაში ODIHR-მა გამართა 2005 წლის 8 დეკემბერს.

<sup>35</sup> „ხალხი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს, თუ მათ წინასწარ იციან რისკების შესახებ და იციან, რა ღონისძიება გაატარონ“ მსოფლიოს კატასტროფების ანგარიში 2009: „ადრეული გაფრთხილება/მოქმედება“ ნოტა 16.